პერსონაჟად ქცეული თბილისი ქართულ კინოში

ელისაბედ ალფაიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამა: სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები (კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მხეიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს,

ქალბატონ ნინო მატარაძეს,

ამავე ფაკულტეტის, სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის
კვლევების, კინომცოდნეობის
მაგისტრანტის
ელისაბედ ალფაიძის

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელისაბედ ალფაიძე

2024

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევა შეისწავლის პერსონაჟად ქცეულ თბილისს ქართულ კინოში. ნაშრომში განხილულია ქართულ კინემატოგრაფიაში შექმნილი ფილმები, რომლებშიც თბილისს არა უბრალოდ ფონური როლი, არამედ გამოხატული ხასიათი და თვისებები გააჩნია.

კინემატოგრაფიის ისტორია პირდაპირ ებმის ქალაქური ცხოვრების წესს, ქართულ კინოშიც თბილისი ადრეული პერიოდიდანვე ჩნდება, სწორედ ამიტომ, წლების განმავლობაში ქართულ კინოინდუსტრიაში შექმნილი თბილისის სხვადასხვა სახე სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან და ერთგვარ ველს ქმნის დაკვირვებისთვის.

ნაშრომი მიზნად ისახავს, რომ იმ ფილმების ანალიზით, რომლებშიც თბილისს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, დაადგინოს, თუ როგორ იცვლება თბილისის სახე სხვადასხვა პერიოდის კინოში, ამასთანავე აღწეროს ის ხერხები, რითაც რეჟისორები ქალაქს წარმოაჩენენ, შეისწავლოს, როგორ გავლენას ახდენს ქალაქი ფილმის სიუჟეტურ დრამატურგიაზე.

ნაშრომში, ყურადღება ეთმობა რამდენიმე დეკადას, როდესაც თბილისის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი სახეები შეიქმნა.

ABSTRACT

The research thoroughly explores Tbilisi's portrayal as a character in Georgian cinema. The paper delves into films within Georgian cinematography, where Tbilisi not only serves as a backdrop but also adopts a distinct character with unique features.

The history of cinema is closely intertwined with urban lifestyles, and Tbilisi has been an integral part of Georgian cinema since its inception. Consequently, the varied representations of Tbilisi in Georgian films over the years differ significantly, offering a diverse, engaging field, for observation.

The objective of this study is to conduct an analysis of films wherein Tbilisi is accorded distinct significance, aiming to discern the evolution of the city's portrayal in cinema across different decades. Simultaneously, the study seeks to elucidate the various approaches employed by directors in depicting Tbilisi and to delineate the impact of the city on the plot dramaturgy of these films.

The investigation places emphasis on specific decades during which Tbilisi assumed notably memorable cinematic representations.